ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N50

21.03.2025 წელი
13:00 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 3-01

მიმდინარე წლის 21 მარტს, 13:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამ ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი) და **ანა კილაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი **მაია გრძელიძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 3 (სამი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“** საკითხი *(საფუძველი წერილი #12-0325058100-03, 27.02.2025წ.).*
   მომხსენებელი - **მაია გრძელიძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა წარუდგინა.

მაია გრძელიძე - მოგესალმებით, წარმოგიდგენთ 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, შესრულების ნაწილში შეიძლება ითქვას, რომ შემოსულობები გახლავთ გადაჭარბებით შესრულებული, რაც დაახლოებით 106%-ია და გულისხმობს 113 000,0 ათას ლარამდე შემოსავალს, გარდა ამისა ნაშთის სახით გახლავთ ბიუჯეტში დარჩენილი თანხები, რომელიც შეადგენს 268 000,0 ათას ლარს, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დაახლოებით 211 000,0 ათასი ლარი უკვე ასახულია 2025 წლის ბიუჯეტში და შემდგომ, საჭიროებისამებრ დანარჩენი თანხის ასახვაც ეტაპობრივად მოხდება. რაც შეეხება გადასახდელების ნაწილს, შესრულება 93% გახლავთ, აქ სხვადასხვა პრიორიტეტების მიხედვითაა შესრულების მაჩვენებელი: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 94.6%; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 89.1%; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 92.4%; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 79.3%; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 99.2%; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 99.2%; განათლება - 92.3%; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 90.4%; ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 90.1%; რაც შეეხება კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის მიმართულებას 78%-ით გახლავთ შესრულების მაჩვენებელი, შეუსრულებელი 22% ძირითადად გახლავთ მიმდინარე (დაუსრულებელი) მშენებლობების ნაწილი, რომელიც სპორტის მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიმართულებაა. აქ უნდა ითქვას, რომ ვერ მოესწრო რიგი ინფრასტრუქტურული ობიექტების დასრულება და თარიღმა 2025 წლისთვის გადაიწია. ასევე, დაბალი შესრულებაა 47%-ით პროგრამაში სპორტი უფროსი თაობისთვის, რაც განპირობებულია ორ მუნიციპალურ სპორტულ ობიექტზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოებით. რაც შეეხება ახალგაზრდულის ნაწილს, დასრულდა სამგორის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, დავაზუსტებ მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას. მოგეხსენებათ, რომ 2024 წელს სამშენებლო სამუშაოები დასრულდა და უკვე აქტიურად ფუნქციონირებს ლადო ასათიანის N50-ში მდებარე სპორტული ცენტრი, დასრულდა და სრული დატვირთვით მუშაობს დიდი დიღმის მულტიფუნქციური ცენტრი. სოფელ ლილოში მშენებარე სპორტული ცენტრის დასრულების ვადამ გადაიწია, დასრულდა პირველი ეტაპი და მეორე ეტაპის სამუშაოები უკვე გამოცხადებულია, აღნიშნულის ფარგლებში დასრულდება გარე ეზოს და შიდა სამუშაოების ბოლო ეტაპი.

მოგეხსენებათ, რომ პრობლემური იყო ვარკეთილის მულტიფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოების პროცესი, ვიყავით სამართლებრივ დავაში მშენებელთან, საბოლოოდ კომპანია დაჯარიმდა დიდი ოდენობის თანხით. უკვე გაგზავნილია მერიის შესყიდვების სამსახურში აღნიშნულ ობიექტზე ახალი სამუშაოების გამოცხადების შესახებ მოთხოვნა, ველოდებით ახალ ტენდერს და კონტრაქტორს, რომელიც დაასრულებს მეორე ეტაპის სამუშაოებს, რის შემდეგაც უკვე შევძლებთ ცენტრის გახნას, ვიმედოვნებთ, რომ შემოდგომაზე მზად იქნება. რაც შეეხება პროგრამას ,,სპორტი უფროსი თაობისთვის", შეფერხება გამოწვეულია გლდანის და ზღვის უბნის საცურაო აუზებზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოებით, რომლებიც უკვე დასრულდა და ყველა ბენეფიციარს შეუძლია თავისუფლად ისარგებლოს აღნიშნული ობიექტებით, ასევე პროგრამაში

ჩაერთო დიღმის მულტიფუნქციური ცენტრი, არენა, უახლოეს მომავალში ჩაერთვებიან დამატებით სხვა კერძო აუზები და ფიტნეს ცენტრები.

გურამ ოქროპირიძე - საბოლოო ჯამში ის მნიშვნელოვანი სპორტული და ახალგაზრდული პროექტები და პროგრამები, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში დაანონსებული იყო ქალაქ თბილისის მერის მხრიდან, ასევე საქალაქო სამსახურის მიერ ფაქტობრივად ყველა სრულდება და შედეგები სახეზე გვაქვს. ხელშესახებია დიდი სპორტული ინფრასტრუქტურის ქსელი, რომლის დატვირთვაც მზარდია და ობიექტებიც ეტაპობრივად ემატება. ასევე ის სპორტული პროექტები და პროგრამები, რომლებიც ხორციელდება, რისი მეშვეობითაც საქალაქო სამსახური უზრუნველყოფს ყველა ასაკის ბენეფიციარის ჩართულობას ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშემწყობ აქტივობებში, რაც მნიშვნელოვანია ჩვენი თანაქალაქელებისთვის. ეს გახლავთ საკმაოდ კომპლექსური პროცესი, რომელიც მხოლოდ ერთი ნაწილია იმ პოლიტიკისა, რასაც თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ახორციელებს. დარწმუნებული ვარ, მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება პროექტების მასშტაბები და გაგრძელდება მათი ხელშეწყობა, რისთვისაც მინდა მადლობა გადავუხადო სამსახურის უფროსს ბატონ ირაკლი გვილავას და ყველა თანამშრომელს, რომელიც ჩართულია აღნიშნულ საქმიანობაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ საკითხი,

მომხრე - გურამ ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ანა კილაძე- (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ, 2025 წლის 21 მარტის სხდომაზე, **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“** წარმოდგენილი ინფორმაცია შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამ ოქროპირიძე